



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211184

თარიღი:28/04/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 22**

**სს „სილქნეტი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, 5 (ხუთი) წლის ვადით, ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით, გარე განათების ბოძების გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 აპრილის №48-4821116163 წერილი, რომელშიც სს „სილქნეტის“ განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას აღნიშნულ განმცხადებელს, ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს გარე განათების ბოძები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სს „სილქნეტს“, ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს გარე განათების ბოძები დანართის შესაბამისად (თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 2021 წლის 28 აპრილის №22 განკარგულების  
 დანართი №1

№	კონცეხის ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი
1	2	3
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ოფურჩხეთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 17.0 ერთეული გარე განათების ბოძი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ოფურჩხეთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 5.0 ცალი ლითონის ბოძი.
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფურჩხეთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 46.0 ცალი ლითონის ბოძი
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი გუმათი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 18.0 ცალი ლითონის ბოძი.
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ჯიმასტარო	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 24.0 ცალი ლითონის ბოძი